ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №205

2015 წლის 29 დეკემბერი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

,,დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური

დახმარების პროგრამის" დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-3, მე-4 პუნქტებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის ,,კ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ,,დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარების პროგრამა" თანახმად დანართისა;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს

(ნ.თხილაიშვილი);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

4. განკარგულება ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე

ქობულეთის გამგეობის მუნიციპალიტეტის

პროგრამა

2016 წლისათვის
ზომის ერთეული „ლარი“

1. პროგრამის სახელწოდება:

   დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარება

2. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი:

   “ 1 იანვარი “ 2016 წ.
   “ 31 დეკემბერი “ 2016 წ.

3. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი

   20 000 (ოცი ათასი) ლარი

4. პროგრამის დაფინანსების წყაროები:

ა) ძირითადი _ ადგილობრივი ბიუჯეტი	20000	ლარი
ბ) დამატებითი	0	ლარი

5. პროგრამის განხოციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

   მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

6 პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/დანორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა.

პროგრამა ითვალისწინებს 17 დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიურ მატერიალურ დახმამარებას 100 ლარის ოდენობით, მათთვის მატერიალური და მორალური მხარდაჭერისათვის, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ბავშვებს არ აქვს ელემენტარული სახსრები რაც ესაჭიროება მათ განვითარებას და აღზრდას. ანალოგიური პროგრამა მუშაობდა 2008 წელს, სადაც მონაწილეობას იღებდა 22 დედ-მამით ობოლი ბავშვი, 2009 წელს 22 დედ-მამით ობოლი ბავშვი, 2010 წელს 25 დედ-მამით ობოლი ბავშვი, 2011 წელს 19 დედ-მამით ობოლი ბავშვი, 2012 წელს 18 დედ-მამით ობოლი ბავშვშვი, 2013 წელს 14 დედ-მამით ობოლმა ბავშვი, 2014წელს 15 დედ-მამით ობოლმა ბავშვი. 2015წელს პროგრამით ისარგებლა 17 დედ-მამით ობოლმა ბავშვმა.

7. პროგრამის (ქვეპროგრამის) მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	დედ-მამოთ ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარების პროგრამის მიზანია ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დედ-მამოთ ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარებას თვითოეულ ბავშვზე 100 ლარის ოდენობით. მათთვის მატერიალური და მორალური მხარდაჭერა	პროგრამით გათვალისწინებული დახმარების ბენეფიციარზე გაცემის მაჩვენებელი
		ბენეფიციართა კმაყოფილების დონის გაზრდა

8. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

2016 წელი													
№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	მოქალაქეების განცხადებების მიღება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2	განცხადებების განხილვა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
3	თანხის გაცემა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

9. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

№	წყაროს დასახელება		2016 წელი	2017 წელი	2018 წელი	სულ
	ძირითადი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი	20000			20000
	დამატებითი					0
	სულ		20000	0	0	20000

ბ) პროგრამის ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

№	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება (დეტალურად გაშიფრული)	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თვეთა რაოდენობა	სულ ღონისძიების ხარჯი (ლარი)
2016წელი						
	სოციალური უზრუნველყოფა					
1	დედ-მამით ობოლი ბავშვებზე ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა	ბენეფიციარი	17	100	12	20000
სულ სოციალური უზრუნველყოფა						

დამატებითი ინფორმაცია:

დახმარების გაცემა მოხდეს 2016 წლის იანვრის თვიდან 2016 წლის დეკემბრის თვის ჩათვლით.

გამგეობას უფლება აქვს ცალკეული კვარტალების მიხედვით არათანაბარი შესრულების შემთხვევაში გამგეობის საფინანსო სამსახურთან შეთანხმებით გადაანაწილოს პროგრამის ბიუჯეტის კვარტალური გაყოფა.

დამტკიცებული ხარჯების კვარტალური განაწილება
I კვარტალი 5100 ლარი; II კვარტალი 5100 ლარი
III კვარტალი 5000 ლარი; IV კვარტალი 4800 ლარი

ა) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

უფლებამოსილი პირი (მეურვე) მიმართავს მუნიციპალიტეტის გამგეობას განცხადებით პროგრამით გათვალისწინებული დახმარების მისაღებად. განცხადება მუნიციპალიტეტის გამგებელის ან და გამგებლის მოადგილის რეზოლუციით შედის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში სადაც განიხილება წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ხდება მათი სისრულეში მოყვანა. რის შემდეგაც სამსახური მიმართავს გამგებელს დახმარების დანიშვნის თაობაზე, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში გამგეობის საფინანსო სამსახური გამგებლის ბრძანების საფუძველზე გადაურიცხავს ყოველთვიურად ბენეფიციარს შესაბამის ანგარიშზე დახმარებას.

ბ) მოსარგებლეთა შერჩევის წესი:
დახმარების გაცემა გაუგრძელდეს 18 წლამდე დედ-მამით ობოლ ბავშვებს რომლებიც ღებულობდნენ ყოველთვიურ დახმარებას 2008-2015 წლებში და წარმოდგენილი აქვს სათანადო დოკუმენტები და ასევე ყველა პირს, რომელიც მიმდინარე წელს დადგება აღრიცხვაზე, მიეკუთვნება აღნიშნულ კატეგორიას და წარმოადგენს შემდეგ დოკუმენტს:
1. დაბადების მოწმობის ასლი
2. დედ-მამის გარდაცვალების ცნობის ასლი, თუ მარტოხელა დედაა იმ შემთხვევაში დედის გარდაცვალების ცნობა და დედის დაბადების მოწმობის ასლი.
3. ცნობა პენსიის არსებობის შესახებ
4. მეურვის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
5. მეურვის პირადობის მოწმობის ასლი
დახმარება ენიშნება დედ-მამით ობოლ ბავშვს განცხადების შემოტანის თვიდან, იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარს უსრულდება 18 წელი დახმარება უწყდება [illegible]ის შესრულების მომდევნო თვიდან.